ხელშეკრულება №63
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
CPV-50532100 - ელექტროძრავების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

ქთბილისი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“ (ს/ნ:405265680, შემდგომში “შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ წერეთლის სახით და მეორე მხრივ, სს სოლვერი (ს/ნ: 402195691, შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორი - ნოდარ გიორგობიანის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მისი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

2.1 ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ სტრუქტურული ერთეულებისათვის ვარკეთილის მედიათეკაში (მის: ვ.კუპრაძის N2) გამაგრილებელი დანადგარის ძრავის შეკეთება (გადახვევა) (თანმდევი მომსახურებით ძრავის დემონტაჟი და მონტაჟი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვა ხელშეკრულების „დანართი“ №1-ის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1 ქვეპუნქტის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2695 (ორი ათას ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დანართი №1-ის შესაბამისად.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ, მიმწოდებლის მიერ გაწეულ, ყველა ხარჯს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს, ასევე, საფასურისა და მოსაკრებლის ღირებულებას, ასეთი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები,ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს მიმწოდებელი, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან **10 სამუშაო დღეში.**
4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებას „მიმწოდებელი“ განახორციელებს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.
4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ვარკეთილის მედიათეკა მის: ვ.კუპრაძის N2
4.4 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედია 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ მიწოდებული ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;
5.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ სამეურნეო სამსახურის უფროსი ზურაბ მარგიშვილი.
5.3. შემსყიდველს უფლება აქვს მომსახურების არასათანადო ხარისხით შესრულების შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მოახდინოს მიმწოდებლის გაფრთხილება და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა. მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში გამოასწოროს ნაკლი.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა ან წუნდებული საქონლის შეცვლა;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის საფუძველზე, აგრეგატის ჩართვისა და ადგილზე შემოწმების შემდეგ და შესაბამისად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების

სამეურნეო სამსახურის უფროსი ზურაბ მარგიშვილი.
6.2 კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი დოკუმენტაცია.
6.3 შემსყიდველი ვალდებულია ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დღეს ან წარმოადგინოს მოტივირებული პრეტენზია წერილობით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდების დღეს ხელს არ მოაწერს მიღება-ჩაბარების აქტს ან არ წარმოადგენს მოტივირებულ პრეტენზიას წერილობით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების თარიღად მიიჩნევა მომსახურების დასრულების დღე (მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენის დღე).
6.4. შესყიდვის ობიექტის (ან მისი ნაწილის) მიწოდებიდან შემსყიდველზე გადადის მისი დაკარგვისა თუ განადგურების რისკი. საქონლის მიღებისას შემსყიდველი ამოწმებს მის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და დაუყოვნებლივ ატყობინებს მიმწოდებელს საქონლის მიღებისას შემჩნეული უზუსტობების, მათ შორის ნივთობრივი ნაკლის შესახებ. საქონლის მიღების მომენტიდან პრეტენზიები მისი სახეობის, ნაკლისა თუ რაოდენობის შესახებ არ მიიღება.

7. ანგარიშსწორება

7.1. **ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით.**
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
7.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;
8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს დაეკისრება ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0,02%- ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
7.3. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;
8.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ;
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული ობიექტის ღირებულება.
9.7. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს

ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება;

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას;

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ,რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11.სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

11.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ფორმით, რომელიც ხელმოწერილია/დამოწმებულია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11.მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“	სს სოლვერი
ს/ნ: 405265680	ს/კ:402195691
მის: ქ. თბილისი, ტოვსტონოგოვის ქ. N2	მის: ქ. თ ბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, N 126
ელ. ფოსტა: unitedlibraries@gmail.com	ტელეფონი: 0322470247, 599720703 ელ.ფოსტა Ceo@solveri.ge
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22	სს “თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE43TB7158836080100013
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: ზურაბ წერეთელი NNLE Union of Tbilisi Municipality Multifunctional Libraries Digitally signed by NNLE Union of Tbilisi Municipality Multifunctional Libraries Date: 2022.07.06 11:37:26 +04'00'	დირექტორი ნოდარ გიორგობიანი Nodar Giorgobiani Digitally signed by Nodar Giorgobiani Date: 2022.07.06 14:03:21 +04'00'

დანართი №1

#	საქონელი (სამუშაოები, მომსახურება)	რაოდენობა	განზომილება	ფასი	თანხა
1	ტუმბოს დემონტაჟი	1	ცალი	140	140
2	ტუმბოს მონტაჟი	1	ცალი	405	405
3	ტუმბოს ძრავის გადახვევა	1	ცალი	2150	2150
	ჯამი				2695